ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3836707

ნომერი: AR1574480

თარიღი : 01.02.2018

გაცემის თარიღი : 22.02.2018

გაცნობის თარიღი : 22.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , აეროპორტის გზის მიმდებარედ , ნაკვეთი 01/035 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სიხარულიძე პ/ნ 01024024502
- თბილისი საბურთალოს ქ. N 44 ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, კახეთის გზატკეცილი, აეროპორტის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/035, შ.პ.ს. "გებრიუდერ ვაის"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ 24/11/2014წ. №1608515 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სარეკლამო კონსტრუქციის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს მშენებლობის ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892017242872საკადასტრო კოდი N 01.19.15.001.035, მინდობილობა ,ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, კორექტირებული ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, კახეთის გზატკეცილი, აეროპორტის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/035, შ.პ.ს. "გებრიუდერ ვაის"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ 24/11/2014წ. №1608515 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სარეკლამო კონსტრუქციის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას.

• სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას სარეკლამო კონსტრუქციის მდგრადობა

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.